



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

27 თებერვალი 2026



N 126/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მარტყოფის ადმინისტრაციულ ერთეულში 9,5995 ჰა ფართობზე 959 950 მ³ სასარგებლო წიაღისეულის (კონგლომერატი) ღია კარიერული წესით მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ – კოდექსი) შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ – გზშ) ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ – სააგენტო) წარმოდგენილი იქნა კოდექსის II დანართის 2.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის (მყარი სასარგებლო წიაღისეულის (გარდა ქვიშა-ხრეშისა) ღია კარიერული წესით მოპოვება, როდესაც მოპოვების ადგილის ზედაპირი 5 ჰექტარზე მეტია) სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს გარდაბნის მუნიციპალიტეტში, მარტყოფის ადმინისტრაციულ ერთეულში, ზღვის დონიდან დაახლოებით 760-800 მეტრის სიმაღლეზე. სალიცენზიო ობიექტის სამთო მინაკუთვნის ფართობი შეადგენს 9,5995 ჰა-ს (GPS კოორდინატები: X-505630 Y-4619514; X-505887 Y-4619480; X-505908 Y-4619465; X-505919 Y-4619358; X-505839 Y-4619210; X-505837 Y-4619172; X-505849 Y-4619104; X-505865 Y-4619059; X-505872 Y-4619008; X-505872 Y-4618943; X-505861 Y-4618930; X-505808 Y-4618912; X-505790 Y-4618897), ხოლო მიწის მინაკუთვნის ფართობი – 2,9860 ჰა-ს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, სალიცენზიო ობიექტის კონტურში ელექტროგადამცემი ხაზები, ანძები და ადგილობრივი მნიშვნელობის მილი ფიქსირდება. ამასთან, საპროექტო ტერიტორია ნაწილობრივ ხვდება ქარის ელექტროსადგურის პოტენციურ პოლიგონში. სალიცენზიო ობიექტის მიწის მინაკუთვნიდან დაახლოებით 5 მეტრში რადიოაქტიური ნარჩენების საცავი და სამარხი მდებარეობს.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში სალიცენზიო ობიექტიდან გათვალისწინებულია 959 950 მ³ კონგლომერატის ღია კარიერული წესით მოპოვება, რაც წელიწადში, საშუალოდ, 47 997 მ³-ს შეადგენს, თუმცა, ლიცენზიანტს უფლება აქვს წლიურ მოპოვებაზე მეტი რესურსი მოიპოვოს. ლიცენზია გაიცემა სავარაუდოდ 20 წლის ვადით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, მორფოლოგიური თვალსაზრისით, სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს საქართველოს მთათაშორისი ბარის ქვეზონაში, გორაკ-ბორცვიანი და ვაკე რელიეფის მქონე ტერიტორიაზე და გორაკის თხემურ ნაწილს მოიცავს. საპროექტო ტერიტორია წარმოდგენილია სუსტად შეცემენტებული სხვადასხვა ზომის კონგლომერატებით, რომლებიც დაფარულია თიხნარის ფენით. მადნიანი სხეულის მორფოლოგიური ტიპი ფენობრივია, რომლის საშუალო სიმძლავრე 10 მეტრს შეადგენს. პროდუქტიული ფენის გავრცელება ლიმიტირებულია სალიცენზიო ობიექტის პარამეტრებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სალიცენზიო ობიექტზე დასინჯვა და საძიებო სამუშაოები არ ჩატარებულა, ასევე არ განხორციელებულა ჰიგიენურ-რადიაციული და ლაბორატორიულ-ტექნოლოგიური კვლევები. სალიცენზიო ობიექტის მარაგები გამოთვლილია სამუშაო არითმეტიკული მეთოდით და პროგნოზული (P კატეგორია) მარაგები 959 950 მ³-ს შეადგენს.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულით, საპროექტო ტერიტორია I (მარტივი) სირთულის კატეგორიას მიეკუთვნება. სალიცენზიო ობიექტის და მისი მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური სიტუაცია სტაბილურია და დამუშავების პროცესში გეოდინამიკური გართულებები მოსალოდნელი არ არის.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ დოკუმენტში არ არის მოცემული დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების შესახებ ინფორმაცია, კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად (არსებულ ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება; ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით – წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება; ნარჩენების წარმოქმნა; გარემოს დაბინძურება და ხმაური და სხვა). სკრინინგის განცხადებაში ასევე არ არის წარმოდგენილი კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ რეცეპტორებთან/ტერიტორიებთან (დაცული ტერიტორია, დასახლებული ტერიტორია, ტყით დაფარული ტერიტორია, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი და სხვა ობიექტი და ა.შ.) დამორების მანძილები და არ არის განხილული დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის აღნიშნულ რეცეპტორებთან/ტერიტორიებთან თავსებადობა. დოკუმენტში კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად არ არის შეფასებული გარემოზე (ატმოსფერული ჰაერი, წყალი, ნიადაგი, ბიომრავალფეროვნება და სხვა) შესაძლო ზემოქმედება და აღნიშნული ზემოქმედების ხარისხი და კომპლექსურობა.

გარდა ზემოაღნიშნულისა სკრინინგის განცხადებაში მოცემული არ არის ინფორმაცია სასარგებლო წიაღისეულის ღია კარიერული წესით მოპოვების პროცესის, მოპოვების მეთოდის, გამოსაყენებელი ტექნიკის, მოპოვებული რესურსის გადაზიდვისთვის საჭირო სატრანსპორტო ოპერაციების შესახებ. დოკუმენტი არ შეიცავს ჰიდროლოგიური ხასიათის ინფორმაციას უშუალოდ საპროექტო ტერიტორიის უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტის (მდინარე, ტბა, წყალსაცავი, მშრალი ხევი, არხი) თაობაზე. სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ სალიცენზიო ობიექტის მიწის მინაკუთვნიდან დაახლოებით 5 მეტრში რადიოაქტიური ნარჩენების საცავი და სამარხი მდებარეობს, თუმცა, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მოსალოდნელი ნარჩენების შესახებ დეტალური ინფორმაცია (კოდები, დასახელებები, რაოდენობები და შემდგომი მართვის საკითხები), ასევე წარმოქმნილი ფუჭი ქანების დროებითი დასაწყობების, შემდგომი მართვის და ტერიტორიის რეკულტივაციასთან დაკავშირებული ღონისძიებები წარმოდგენილი არ არის.

დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზემოაღნიშნული საკითხები დეტალურ შესწავლას და შეფასებას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრას მოითხოვს, რაც საქმიანობის გზშ-ის ეტაპზე შესწავლის საგანია.

სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში სკრინინგის განცხადება სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს გაეგზავნა. საპასუხო კორესპონდენციის მიხედვით, სალიცენზიო ობიექტის ტერიტორია კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების ინდივიდუალურ დამცავ ზონაში არ ექცევა და მასზე „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით ძეგლის დამცავ ზონაში მოქმედი სამართლებრივი რეჟიმი არ ვრცელდება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის თანახმად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე კარიერის დამუშავების და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ორგანო სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დადებითი დასკვნის საფუძველზე. აღნიშნული დასკვნის საფუძველია შესაბამისი ტერიტორიის არქეოლოგიური კვლევა, რომლის ჩატარებას მიწის სამუშაოების განხორციელებით დაინტერესებული

პირი უზრუნველყოფს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში წარდგენილი უნდა იქნეს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლით განსაზღვრული დოკუმენტაცია, რაც დამატებითი კვლევის საგანია.

კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებით, კოდექსით დადგენილ ვადაში, სააგენტოში წარმოდგენილი იქნა ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“-ს შენიშვნები, რომლებიც ძირითადად ეხება სკრინინგის განცხადების კოდექსით დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობას და სააგენტოში წარმოდგენილ დოკუმენტაციაში კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრული ინფორმაციის არარსებობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობის კოდექსით განსაზღვრული კრიტერიუმებით შეფასების მიხედვით, კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და II დანართის მე-2 პუნქტის 2.1 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მარტყოფის ადმინისტრაციულ ერთეულში 9,5995 ჰა ფართობზე 959 950 მ³ სასარგებლო წიაღისეულის (კონგლომერატი) ღია კარიერული წესით მოპოვება **დაექვემდებაროს** გზმ-ს;
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია კოდექსის მე-8 მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ლუბიანური



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო



